

- [მთავარი](#)
- [მეურნე](#)
- [PDF არქივი](#)
- [ჩვენ შესახებ](#)
- [დაგვიკავშირდით](#)

- [Armenian](#)

- 

468x60

- [პოლიტიკა](#)
- [ეკონომიკა](#)
- [განათლება](#)
- [მედიცინა](#)
- [საზოგადოება](#)
- [კულტურა](#)
- [რეპორტაჟი](#)
- [ფოტო](#)
- [ვიდეო](#)

## უმართავი ნარჩენები

[მთავარი](#) → [სიახლე](#) 12.06.2012

ასობით მშენებარე კომპანია ახალციხეში და ათასობით კუბური მეტრი სამშენებლო ნარჩენი, რომლის განთავსებაც კანონით ხდება თუ უკანონოდ ვერავინ გარკვევს. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა ცნებას "სამშენებლო ნარჩენი" არ ცნობს



მდინარე "ფოცხოვის" სანაპიროზე, მიქუტიშვილის ქუჩაზე მცხოვრებლებს ჭარბი ნალექის შემთხვევაში, სახლებში წყლის შევარდნის ეშინიათ. მათი თქმით, მას შემდეგ რაც ქალაქში მშენებლობები დაიწყო, მდინარის კალაპოტი სამშენებლო ნარჩენებით აივსო.

- "რამდენიმე წლის წინ წყალი სახლში შემოგვივარდა, იმის გამო, რომ ნაგვით არის ამოვსებული სანაპიროები. აღარ გვინდა იგივე პრობლემები შეგვექმნას ახლაც. რომელი წყალი წაიღებს ამხელა სამშენებლო მასალებს?! თან ყოველდღე უფრო და უფრო ემატება", - ამბობს მიქუტიშვილის ქუჩაზე მცხოვრები მაია გოგოლაძე.

მისი თქმით, აქ ნაგავი რაბათის მშენებლობიდან ჩამოაქვთ: "ამას ემატება ქალაქში მიმდინარე მშენებლობების სამშენებლო ნარჩენებიც და კალაპოტი ყოველდღე ვიწროვდება".

ახალციხეში მასობრივი მშენებლობები წალიწადზე მეტია მიმდინარეობს. რომ აღარაფერი ითქვას, ათამდე მშენებარე ობიექტზე, იმის წარმოსადგენად თუ რა რაოდენობის სამშენებლო ნარჩენი შეიძლება დაგროვდეს ქალაქში, რაბათიც კმარა. შვიდ ჰექტარზე გაშლილი ციხის რეზილიტაცია და გაწმენდითი სამუშაოები აქ გასული წლის ზაფხულში დაიწყო. ამჟამად აქ მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით 250-ზე მეტი ხელშეკრულებაა გაფორმებული.

ერთ-ერთი მშენებელი კომპანიის "იკორთა 2007"-ის ხელმძღვანელი ტარიელ კერვალიშვილი აცხადებს, რომ მდინარის ნაპირზე ნარჩენი არასდროს გაუტანიათ: "რეზიდენციასთან გაგვაქვს მიწა და იქვე მოსწორდება".

"კამაზის" მძღოლის თენგიზ კაპანაძის თქმით, რომელსაც სამშენებლო ნარჩენები ჯერ ხელოვნური ტბის რეაზილიტაციისას გამოჰქონდა, ახლა კი ქვასა და ღორღს რაბათიდან ეზიდება, მანქანა "ფოცხოვის" სანაპიროზე, იცლება. ოღონდ, კაპანაძე ნარჩენებს, არა მიქუტიშვილის ქუჩაზე, არამედ ქალაქის გასასვლელში, ბენზინ გასამართ სადგურთან "მაგნატი 2006" ცლის: "სხვა ტიპის ნარჩენებს ერთად ვაწყობთ და ნაგვის მანქანას გააქვს შემდეგ".

კაპანაძის ნათქვამს კატეგორიულად უარყოფს შპს "კეთილმოწყობის" სამსახურის დირექტორი ამირან ნოზაძე: "სამშენებლო ნარჩენებთან შეხება არ მაქვს. ვინც აშენებს, ორგანიზაცია იქნება ეს, თუ კერძო პირი, ვალდებულია, სამშენებლო ნარჩენი თავად გაიტანოს. მათ ეკრძალებთ ასეთი ნაგავი ქალაქში დადგმულ კონტეინერებშიც რომ ჩაყარონ. ასე კონტეინერები ფუჭდება, პირველ რიგში კი საბურავები გამოდის წყობიდან".

ასევე ბენზინგასამართი სადგურის გვერდით იცლება ყოფილი პოლიკლინიკის დემონტაჟის შემდეგ მორჩენილი ნაგავიც.

სად გააქვთ სამშენებლო ნარჩენი მშენებარე იუსტიციის სახლიდან, ან რაბათის შესასვლელში, ათონელის ქუჩის რეაბილიტირებისას, კომპანია "არტესის" მენეჯერს ლაშა ცხვარიაშვილსაც ვკითხეთ, თუმცა, მან ამ თემაზე საუბარი "სამხრეთის კარიბჭესთან" არ ისურვა: "უკაცრავად, მოგვიანებით დამირეკეთ", გვითხრა და შემდეგ ჩვენ სატელეფონო ზარებს აღარ უპასუხა.

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში აცხადებენ, რომ მანამდე სანამ ქალაქში მშენებლობები დაიწყებოდა, სამშენებლო ნარჩენებისთვის ადგილები წინასწარ შეარჩიეს. ერთი ასეთი ადგილი ყოფილი ხელოვნური ტბის დაჭაობებული ნაწილი იყო, რომელიც ამოავსეს და მოასწორეს კიდეც. მეორე კი მდინარის ნაპირთან, ბენზინგასამართი სადგურის გვერდით და მასაც მალევე მოასწორებენ.

- "ნარჩენები ყველგან მოსწორდება. მომავალი წლისთვის ვერავინ მიხვდება სადმე ქალაქში სამშენებლო ნარჩენი იყო თუ არა. მით უფრო სანაპიროსთან ნარჩენებს ასე არ დავტოვებთ, რადგან ის რეაბილიტირებულ ხელოვნურ ტბიდანაც ჩანს", - აცხადებს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მალხაზ გიქოშვილი.

რაც შეეხება მიქუტიშვილის ქუჩაზე სამშენებლო ნარჩენით ამოვსებულ სანაპიროს, გიქოშვილმა არაფერი იცის: "მანდ ცუდი გზაა, შეიძლება ვიღაცამ იმიტომ დაყარა ნარჩენი, რომ გზა ამოეხსოთ".

ქალაქში ასობით მშენებარე კომპანიიდან რომელს სად გააქვს ნარჩენი, არავინ აკონტროლებს. უწყება, რომელიც ამ პროცესს თვალყურს მაინც მიადევნებს, არ არსებობს.

- "ეგ ჩვენი კომპეტენცია აღარაა. ბოლოს ჩვენი სამსახურის რეორგანიზაცია პირველ მაისს მოხდა. ახლა ვართ ბუნებრივი რესურსების სააგენტოში შემავალი იურიდიული პირი. ალბათ ნარჩენების კონტროლი გარემოსდაცვას ევალება", - ამბობს აღნიშნული სამსახურის ხელმძღვანელი ფრიდონ ტაბატაძე.

სამცხე-ჯავახეთის გარემოსდაცვის რეგიონული სამმართველო კი წელიწადზე მეტია გაუქმდა. თუმცა, როგორც ამ სამსახურის ყოფილი თანამშრომელი ხათუნა ხმალაძე გვიხსნის, ნარჩენებზე კონტროლი არც მისი არსებობის პერიოდში ხორციელდებოდა: "ეს მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა მოხმდარიყო, თუ სამინისტროდან სპეციალური მითითება იქნებოდა".

გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივას" ანალიტიკოსის ქეთი გუჯარაიძის განცხადებით, კანონი ნარჩენების შესახებ, რომელიც დაადგენდა ნარჩენების კატეგორიებს და იმ ორგანოებს, რომლებიც პასუხისმგებელი უნდა იყვნენ თითოეული კატეგორიის ნარჩენის მართვასა და სწორ განთავსებაზე, დღემდე არ არსებობს.

- "ეს საკითხები საერთოდ არ რეგულირდება კანონმდებლობით. მაგალითად, ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა არ ცნობს ცნებას "სამშენებლო ნარჩენი", - განუმარტა "სამხრეთის კარიბჭეს" გუჯარაიძემ.

მისივე თქმით, გარემოს დაცვის სამინისტრო, ბოლო ათი წელია საუბრობს, რომ მუშავდება კანონი ნარჩენების შესახებ, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში დღემდე არ არსებობს ასეთი კანონი: "ნარჩენების მართვა, სწორი უტილიზაცია და განთავსება, ჩემი აზრით, არის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი, რომელიც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. ამდენად, ნარჩენების შესახებ კანონის შემუშავებისა და მიღების წლების განმავლობაში გადადება, ჩემი აზრით, დანაშაულის ტოლფასია".

გუჯარაიძის განცხადებით, პრობლემა, რომლის წინაშეც დღეს ახალციხე დგას, ადგილობრივი თვითმმართველობის ძალებით ვერ მოგვარდება, თუ მას არ ექნება სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც მას უფლებებისა და ვალდებულებების ზღვრებს დაუწესებს.

[თამუნა უჩიძე, ახალციხე]

Like 1

0

3

Like


### Add New Comment

[Login](#)



Showing 0 comments

Sort by popular now ▼

✉ [Subscribe by email](#)  [RSS](#)

- [“უაპტრონო უბანი”](#)
- [მშენებლობა სამშენებლო ნებართვის გარეშე](#)
- [უსაფრთხოება ხელისმოწერით](#)